დოც. დოქ. ჰალილ ალთუნთაში



სამართლიანობა

რსს
გამომცემლობა

დოქტ. დრ. ბილალ ალთუნთაში

საქართველოსა

DIYANET İŞLERİ BAŞKANLIĞI

დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა:1766
სახალხო წიგნები: 436

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი
დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი
იუნუს იუქსელი

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

გამოცემისთვის მოამზადა
უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
05.02.2020/33

ISBN: 978-605-7751-81-2
2020-06-Y-0003-1766
სერთიფიკატის ნო: 12930
1. გამოცემა, ანკარა 2020

გამოცემა
Salmat Basım Yay. Amb. San. ve Tic. Ltd. Şti
Tel : +90 312 341 10 24

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია
რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü
Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı
Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı
No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE
ტელ: +90 312 295 72 81
ფაქსი: +90 312 284 72 88
e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

„გადაწყვიტა შვილისთვის რამე ეჩუქებინა. მას სურდა პატარა ნუმანს გაეღიმა და დედაც ბედნიერი ჰყოლოდა, თუმცა მოულოდნელად დედის გულში ორჭოფობის ნაპერწკალი გაჩნდა. ეს საჰაბე ქალბატონი ამრა ბინთი რევაჰა იყო. ის ფიქრობდა, რომ აღნიშნული საკითხი შუამავალთან უნდა შეეთანხმებინა. ეს ისეთი საჩუქარი იყო, რომელსაც ბავშვის მომავალზე და ამასთანავე ძმებთან ურთიერთბაზე გავლენის მოხდენა შეეძლო. საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, თუ ამ საჩუქრის გადაცემას თავად შუამავალიც დაესწრებოდა. მან დაადასტუროსო, ფიქრობდა. მას სურდა, რომ შუამავალი გადაწყვეტილების მიღებაში დახმარებოდა.

ბავშვის მამამ, ბეშირმა ნუმანს ხელი ჩაკიდა და შუამავალთან წაიყვანა. ჩემს ვაჟს საჩუქარი უნდა გავუკეთო და ჩემს მეუღლეს, ამრა ბინთ რევაჰას სურს, რომ ამ ამბავს შენ ესწრებოდეო, უთხრა შუამავალს. სხვა შვილები თუ გყავსო, ჰკითხა შუამავალმა, რა-

ზეც ბეშირმა უპასუხა, რომ ჰყავდა. ყველას ერთნაირად აჩუქე? -ჰკითხა შუამავალმა ისევ. არაო, უპასუხა ბეშირმა. ალბათ ისეთი მდიდარი არც იყო, რომ ყველასთვის თანაბრად ეჩუქებინა.

შუამავალს ეს არ მოეწონა. მისი პასუხი მოკლე და მკაცრი იყო: „მოწმედ ნუ დამიყენებ, რადგან მე უსამართლობის მოწმე არ ვიქნები“. შუამავალს სურდა ბეშირი მიმხვდარიყო, თუ რა შეიძლებოდა გამოეწვია არასამართლიან მოპყრობას. შენ ხომ გსურს ყველა შვილი კარგად გექცეოდეს, ჰკითხა მან ბეშირს. „რა თქმა უნდა ასე მსურს, შუამავალო“- უპასუხა ბეშირმა. წლების შემდეგ შუამავლის პასუხს ისევ ნუმანი იხსენებს: „მაშინ გეშინოდეს ალლაჰის და ბაშვებს სამართლიანად მოექეცი“.

ადამიანის უფლებები და სამართლიანობა, ეს ის ორი ტერმინია, რომელთა შესახებ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, ყველაზე მეტი მსჯელობა მიმდინარეობდა და ასევე ბევრი იწერებოდა. დღესაც ამ საკითხს, წარსულთან შედარებით, უფრო მეტი ყურადღება ექცევა და უფრო მეტი მსჯელობის საგანია. ყველას პირზე აკერია უფლებები და სამართლიანობა. ზოგადად ისეთი საკითხები, რომლებიც პრობლემას აღარ წარმოადგენენ აქტუალურობას კარგავს. შესაბამისად, ადამიანის უფლებები და სამართლიანობა რომ დაცული იყოს ამდენი მსჯელობა არ დაჭირდებოდა. რადგანაც ეს საკითხი მუდმივად წინა პლანზეა, გამოდის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ პერიოდში,როდესაც ადამიანის უფლებები და სამართლიანობა უმეტესწილად უგულებელყოფილია.

არსებობს ერთი ჭეშმარიტება, რომელიც აღნიშნულ საკითხს უფრო პრობლემურს ხდის: ძირითადი პრობლემა არა უსამართლობის არსებობა,არამედ ამ საკითხის მიმართ სამართლიანობის მომსპობთა მხრიდან მუდმივი აპელირებაა. როგორც ჩანს, სანამ კაცობრიობა იარსებებს, სამართლიანობის პრობლემა მუდმი-

ვად იქნება და მის შესახებ მუდმივად ისაუბრებენ.

რა არის ჭეშმარიტება და უფლება?

უფლება ეს არის ჭეშმარიტება, რომლის უარყოფა შეუძლებელია. ჭეშმარიტება სრული სიმართლეა, აბსოლუტურად სწორი ცოდნა. გარდა ამისა, ჭეშმარიტება კავშირშია ისეთ ტერმინებთან, როგორიცაა: შესაბამისობა, პასუხიმგებლობა, მიზანდასახულობა, სიმტკიცე და სხვა.

ჭეშმარიტების ანტონიმი კი არის მცდარი, რომელიც არასწორს, არამართებულს, ტყუილს, უსაფუძვლოს ნიშნავს. ღვთიური გზავნილი ჭეშმარიტებაა, რომელიც ისლამის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო ყველაფერი, რაც მის წინააღმდეგაა, არის მცდარი. ამასვე ადასტურებს ისრას სურას 81- აიათი:

„მოვიდა ჭეშმარიტება , მოიშთო სიცრუე . უეჭველად, სიცრუე განწირულია მოსაშთობად .“

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შედეგის დასადგომად აუცილებელია ყველამ ის ვალდებულება სწორად შევასრულოთ და ის პასუხისმგებლობა ვიგრძნოთ, რაც გვაკისრია. ჩვენ მუდმივი მგრძნობელობა უნდა

„მოვიდა ჭეშმარიტება, მოიშთო სიცრუე. უეჭველად, სიცრუე განწირულია მოსაშთობად.“ (ისრა 17/81)

გაგვაჩნდეს ჭეშმარიტების მიმართ და ასევე მუდმივად მზადყოფნაა საჭირო მისთვის საბრძოლველად.

სიტყვა ჭეშმარიტება, უპირველეს ყოვლისა, ღმერთისა და მისი სიტყვის შესახებ გამოიყენება. ღმერთი აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და მისი უარყოფა დაუშვებელია. (იხ. ჰაჯ. 22/62)

ღვთის გზავნილიც უეჭველი ჭეშმარიტებაა. შუამავალი ბრძანებს: „ღმერთო, შენ ხარ ჭეშმარიტება. შენი აღქმა ჭეშმარიტებაა. შენი სიტყვაც ჭეშმარიტებაა. ჭეშმარიტებაა ის, რომ შენდამი მოვიქცევით. სამოთხეც, ჯოჯოხეთიც და წარღვნაც ჭეშმარიტებაა“. (იხ. მუსლიმ, სალათულ მუსაფირინ, 26)

„და ჩვენ განვაწესებთ
სამართლის სასწორებს
აღდგომის დღეს, მაშინ
არავინ არ დაიჩაგრება.
და მდოგვის მარცვლის
ოდენაც რომ იყოს,
მას მოვიტანთ. და
საკმარისი ვართ ჩვენ
ანგარიშმსწორებლებად!“

(ანბია 21/47)

ყოველი უფლება
აუცილებლად
დაცული უნდა იყოს.
ამ თვალსაზრისით
უფლება ის
პასუხისმგებლობაა,
რომელიც
ჭეშმარიტებას
სრულყოფილს
ხდის.

აბსოლუტური ჭეშმარიტების დამდგენი და თავად განსახიერება სამყაროს გამჩენია. მან ყოველ ადამიანს უბოძა უფლებები, როგორც წყალობა და როგორც საჩუქარი. ის არის ჭეშმარიტებისა და უფლების წყარო, რაც თავისთავად გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ის ღმერთია. მან გააჩინა ყოველი სულდგმული და მანვე შექმნა გარემო, სადაც მათი სიცოცხლისა და არსებობისთვის ხელსაყრელი პირობებია. აღნიშნული გარემო მხოლოდ ფიზიკური მახასიათებლებით კი არ არის ხელსაყრელი, არამედ მთელი სოციალური და სამართლებრივი გარემოც შესაბამისია.

ღვთიური კანონები სწორედ ის უცვლელი გზაა, რომელიც ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელ გარემოს ქმნის. ღმერთმა გვიწყალობა სიცოცხლე და ამ სიცოცხლის გაგრძელებისთვის შეგვიქნა გარემო, რაც წარმოდგენილია ბუნების, ჰაერის, წყლის, საკვების, გონების, უნარებისა და სხვა მრავალი ფიზიკური თუ არამატერიალური ფაქტორების სახით. რაც შეეხება ღვთიურ კანონებს, ისინი ადამიანის სოციალურ და სამართლებრივ გარემოს აწესრიგებენ, რათა ადამიანმა მშვიდად და ბედნიერად იცხოვროს. მოკლედ,

ღმერთმა ჩვენი არსებობისათვის ფიზიკურად და სულიერად ხელსაყრელი გარემო შეგვიქმნა და ამ გარემოს დაცვა ჩვენვე დაგვავალა.

ადამიანს არა საკუთარი მცდელობითა და დამსახურებით, არამედ ღვთიური წყალობის შედეგად ენიჭება ყოველი უფლება და ეს ადამიანის თავისუფლებას არ აკნინებს. ადამიანს თავისუფლებასაც და ყველა ღირებულებას თავად ღმერთი ანიჭებს. ადამიანის უფლებები წარმოიქმნება იმ ფაქტის შედეგად, რომ ის ადამიანია. ადამიანს ასევე უფლებები ენიჭება იმ საზოგადოებრივი წეს-წყობილების მიხედვით, რომელშიც ის ცხოვრობს. ადამიანიც და საზოგადოებაც ღმერთმა გააჩინა, შესაბამისად ადამიანის ყოველი უფლება ღმერთს უკავშირდება.

სამართლის სფეროს თუ დავაკვირდებით მთელი იურისპრუდენციის სისტემათა საფუძველში ძირითად ადგილს უფლებები იკავებს. ეს სისტემები არამარტო ადამიანთა, არამედ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებსაც არეგულირებს. შესაბამისად, ნებისმიერ ადგილას, სადაც არის ადამიანი და მას სხვა არსებებთან ურთიერთობა უწევს, არის გარკვეული სამართალიც და

უფლებების წარმოქმნის საკითხიც.

სამართალს თავისი მარეგულირებელი და შემზღუდავი მხარეები გააჩნია, რაც ინდივიდის თავისუფლების ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს. ეს ასევე ბადებს ადამიანის მოვალეობებსაც. შესაბამისად, ჩვენი უფლებები იმ არეალში ვრცელდება, სადაც კანონი, საზოგადოება და მორალი გვაძლევს ამის საშუალებას.

უფლების როლი თანამედროვე ჰრობლემებში

ადამიანის უფლებების დარღვევა ის საკითხია, რომელიც კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მუდმივად აქტუალური იყო და დღესაც ინარჩუნებს აქტუალურობას. ჩვენი ქვეყანაც ამ საერთაშორისო და ძირეული უფლებათა დარღვევის ჰეგემონიისგან საკუთარ წილს იღებს. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების შედეგად გაჩნდა ახალი გამოწვევები, რომლებიც ადამიანის უფლებათა დარღვევისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა. გაჩნდა დამოკიდებულება, რომელიც ერის არსებობის პირობად სოციალური და კულტურული მრავალფეროვნების მოსპობას მიიჩნევდა. ასეთ პირობებში განსხვავებული ენის, კულტურის, ეთნი-

კური კუთვნილებისა და რელიგიის ადამიანების თანაცხოვრებას ვედარ ახერხებდნენ.

აღნიშნული დამოკიდებულება ისტრიულ და საზოგადოებრივ მონაპოვარს საფუძვლიანად არყევდა და ამ პროცესში ქვეყნის ყველა კუთხესა და ახლო გეოგრაფიულ არეალში ადამიანის უფლებათა დარღვევის ისეთი ტენდენცია შექმნა, რომელმაც



დიდი კვალი დატოვა. უგულებელ-ყოფილი იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ადამიანური ფაქტორები, როგორიცაა შემწყნარებლობა, სინდისი, ძმობა და ა.შ. რამაც, საბოლოო ჯამში, ადამიანებს დიდი ტკივილი მიაყენა.

ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია წარსულის ნეგატიური მოვლენებიდან სათანადო გაკვეთილის აღება და არა ამ მოვლენების წარმომქმნე-

ლი მიზეზების ძიება. დღეისათვის საჭიროა ერისა და სახელმწიფოებრიობის ერთიანობის შენარჩუნება და ამავდროულად კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნების დაცვა. ასევე გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც სამართლისა და სამართლიანობის მიმართ საზოგადოებრივი რწმენა გაიზარდა.

ისეთი სამყაროს შექმნა,სადაც ადამიანები ყოველგვარი განსხვავების გარეშე, თანაბრად სამართლიან გარემოში იცხოვრებენ, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა თითოეული ჩვენგანი ამ პრინციპს უახლოეს გარემოში გავატარებთ. ხალხის ძირითადი კულტურული და ზნეობრივი მიდრეკილებების გათვალისწინებით შექმნილი გარემო და ასეთ გარემოში ცხოვრება ყველასათვის სიმშვიდის მომტანი იქნება. ამ მხრივ მიმართული ყოველი პოზიტიური ნაბიჯი ფართო მასებზე ვრცელდება. შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში შექმნილი დადებითი ტენდენციის შედეგად მდგომარეობა გაუმჯობესებულია და აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ უფრო მაღალ საფეხურებს მივაღწევთ.

ჭეშმარიტების უზენაესობის პრინციპი

ისლამის იდეოლოგიურ სისტემაში ღირებულებათა კლასიფიკაციის დროს ყველაზე მაღალ ადგილს ჭეშმარიტება იკავებს. ჭეშმარიტების წყარო და უპირობო დამდგენი ღმერთია, ამიტომ ის ყველაზე მაღლა დგას.

ისლამი ბოლო და უკანასკნელი ჭეშმარიტი სარწმუნოებაა. ჭეშმარიტების უზენაესობა ყურანში შემდეგნაირადაა განმარტებული: „იგია, რომელმაც წარმოგზავნა თავისი შუამავალი ჭეშმარიტი გზითა და ჭეშმარიტი სარწმუნოებით, რათა აღმატებულ ჰქმნას იგი ყველა რწმენაზე , თუნდაც ეს არ მოსწონდეთ წარმართებს“. (საფ 9)

„და რომ ყოფილიყო ჭეშმარიტება დამოკიდებული მათ სურვილზე, მაშინ უთუოდ ჩამოიქცეოდნენ ცანი და ქვეყანა და ყოველივე, რაც მათზეა. ჩვენ კი ვუბოძეთ მათ შეხსენება , თუმცაღა ეგენი შეხსენებისგან ზურგს იქცევენ!“ (მუმინუნ 71)

შუამავალი ბრძანებს:

„ვინც ძმას უსამართლოდ მოექცა, პატიება სთხოვოს“.

(რიქაქ 48)



ადამიანის ბედნიერება საზოგადოებრივი წესრიგის, სიმშვიდისა და ბედნიერების მიმართ პატივისცემის ხარისხზეა დამოკიდებული. ამასთანავე ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ჭეშმარიტება უზენაესია, ვიდრე ძალა და მმართველობა.

ჭეშმარიტების უზენაესობის დადასტურება იყო, როდესაც მექელმა წარმართებმა შუამავალს წარმოუდგენლად მიმზიდველი გარიგება შესთავაზეს, რათა უკან დაეხია და ისლამის გავრცელება შეეწყვიტა, მაგრამ შუამავალმა კატეგორიული უარი განუცხადა. მარჯვენა ხელში რომ მზე მომცენ, ხოლო მარცხენაში -მთვარე, ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელებას თავს არ დავანებებო, უთხრა მათ.

ჩვენი კავშირი
ღმერთთან,
სხვა არსებებთან
ურთიერთობითაც ჩანს.
ყოველი ადამიანი,
რომელსაც სწამს
ღმერთი და მის მიერ
დადგენილ წესებს
იცავს, ასევე დაიცავს
ყველა ცოცხალი
არსების უფლებებსაც.

უფლებასა და პასუხისმგებლობას შორის ყაყმაცი

ყოველი უფლება ელოდება აღიარებას და დაცვას. გამომდინარე აქედან უფლება ბადებს პასუხისმგებლობას. ვისაც გააჩნია რაიმე უფლება, მას შესაბამისი პასუხიმგებლობაც გააჩნია. მაგალითად როდესაც საკუთრების უფლება გვაქვს, ეს წარმოშობს ვალდებულებას ჩვენც გავუფრთხილდეთ სხვათა საკუთრებას. ამრიგად, სადაც არის უფლება, იქ აუცილებლად არის მოვალეობები და პასუხისმგებლობა.

სინამდვილეში პასუხიმგებლობა სხვათა უფლებების მიმართ გულისხმიერება და მათი დაცვაა. შესაბამისად შეგვიძლია ვთაქვათ, რომ უფლება საზოგადოებრივი მოვლენაა. სხვებთან ერთად, ერთ გარემოში ცხოვრობდე და არ გქონდეს უფლება ან პასუხისმგებლობა, უბრალოდ შეუძლებელია. ყველას ჩვენი უფლებების პროპორციულად გვეკისრება პასუხისმგებლობაც და ასე მიმდინარეობს ყოველდღიური ცხოვრება.

საზოგადოებრივი სიმშვიდე, წესრიგი და სტაბილურობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი თუ ინდივიდები თავიანთ უფლებებსა და პასუ-

ხისმგებლობას აცნობიერებენ. ჩვენი სარწმუნოება უფლებებზე საუბრისას მოვალეობებსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

პასუხიმგებლობაზე პასუხიმგებლობით მოკიდება სხვა ადამიანებისთვისაც სამაგალითოდ იქცევა ხოლმე. ამრიგად სხვათა უფლებების დარღვევის შემთხვევები შემცირდება და მიუღებელი გახდება. ჩვენს სარწმუნოებაში საკუთარი უფლების დაცვაზე ადრე, ანუ უფლების მიღებაზე უწინარეს, მისი გაცემის ვალდებულებაა მოწოდებული. როდესაც ყველა ასეთ დამოკიდებულებაში იქნება, იქ უფლებები აღარ დაირღვევა.

ადამიანის უფლებებისგან გამომდინარე ქმედებები ორ ძირითად ნაწილად შეიძლება გაიყოს. ესენია: სულიერი და მატერიალური. „მატერიალური უფლებები“ ადამიანის სიცოცხლის უფლებიდან დაწყებული ყველა ის უფლებაა, რაც ადამიანს ცხოვრების წარმართვისათვის სჭირდება. რაც შეეხება „სულიერ უფლებებს“, ისინი ადამიანის საიქიო ყოფასთან არის დაკავშირებული.

უფლებების კლასიფიკაცია

უფლებების კლასიფიკაცია სხვა და სხვა სახით შეიძლება. ამათგან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია ღვთიური და ადამიანური უფლებები.

ღმერთმა ჩვენ არაფრისაგან გაგვაჩინა, გვიბოძა საარსებო გარემო, გვიცავს, მოგვიტევებს და ასე შემდეგ. შესაბამისად მას გააჩნია უზენაესი უფლება. ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ მის წინაშე და ყველა ეს ვალდებულება, რომელსაც ვასრულებთ მისი უფლებაა.

რაც შეეხება ადამიანის უფლებებს, ისინი ყველა იმ უფლებას მოიცავენ, რაც ადამიანებს შორის ურთიერთობისას წარმოიშობა. ისლამურ წყაროებში ისინი წარმოდგენილია, როგორც „მსახურის უფლებები“. აღნიშნული უფლებები დადგენილია ღვთიური კანონების მიხედვით, რომლებიც ადამიანისთვის საცხოვრებლად ნორმალური გარემოს შექმნას უზრუნველყოფენ. მაგალითად სიცოცხლის უფლება, აღმსარებლობის თავისუფლება, ადამიანის გონების, ქონებისა და საკუთრების დაცვის უფლება ამ ძირითად უფლებებში შედის.

საზოგადოების
შემადგენელი
ყველა ერთეული
ნივთიერების
ატომური აგებულების
მსგავსად ერთი
მთლიანობაა.
თუ რომელიმე
ერთეულის
მიმართ უსამართლობა
განხორციელდა,
ეს მოვლენა მხოლოდ
იმ ლოკაციაზე არ
დარჩება
და მოკლე ხანში
მთელ
საზოგადოებას
მოედება.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ვხვდებით უსამართლობასა და ადმიანის უფლებების უხეშად დარღვევის ფაქტებს. ამის საწინააღმდეგოდ ისლამის არსი გულისხმობს, რომ ყოველი ადამიანის სიცოცხლე და ღირსება ყოველგვარი საფრთხისგან დაცული უნდა იყოს. ასევე დაცულია ადამიანის სხვა მნიშნელოვანი უფლებები, როგორიცაა აზრის გამოხატვის თავისუფლება, საკუთრების უფლება და აღმსარებლობა.

აქვე მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო, რომ ადამიანის ყველა უფლება ღვთის მიერ დადგენილ ნორმებში განიხილება. ღვთის მორწმუნე ადამიანი, რომელიც რელიგიურ ნორმებს იცავს და რელიგიით დადგენილ ჩარჩოებში მოქმედებს, ასევე იცავს სხვათა უფლებებსაც.

ადამიანის უფლებათა შოიალუნო�ება

ადამიანის უფლებები ის უფლებებია, რომლებიც საზოგადოებაში პიროვნების ცხოვრებას და სხვებთან ურთიერთობებს არეგულირებს. მეორენაირად მათ „სოციალური ცხოვრების ძირითადი საფუძვლები“ ეწოდება. ამ უფლებების ყველაზე ფართო არეალს „თანამორწმუ-

ნეთა ძმობა“ წარმოადგენს. ძმობის ამ კავშირს ადამიანთა ერთი რწმენა უდევს საფუძვლად. შუამავალი ბრძანებს: „მუსლიმი მუსლიმის ძმაა. ის არ დაჩაგრავს და მარტო არ მიატოვებს. ვინც მუსლიმ ძმას დაეხმარება,ღმერთი მის საჭიროებას გაითვალისწინებს და მასაც დაეხმარება. ვინც მუსლიმი ძმის გაჭირვებას გაითვალისწინებს,განკითხვის დღეს ღმერთ მის გაჭირვებას გაითვალის-

წინებს. ვინც მორწმუნე ძმის ნაკლოვანებას დაფარავს, განკითხვის დღეს ღმერთი მის ნაკლოვანებას დაფარავს“. (მუსლიმ, ბირ ვე სილა, 58)

ასევე მნიშვნელოვანი სფეროა სამეზობლო უფლებები და მოვალეობები. მეზობლობა სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

საზოგადოებრივი ცხოვრების პირველი რგოლი ოჯახია. ოჯახები, როგორც წესი, მეზობლად ცხოვრობენ. ისლამში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეზობლობას და მეზობლებს შორის ურთიერთობებს და ამ მიმართულებით ისლამისეული მიდგომები ურთიერთგაგებაზე, დახმარებასა და შემწყნარებლობაზეა დამყარებული. შუამავალი ბრძანებს: „(ანგელოზმა) ჯებრაილმა მეზობლის შესახებ იმდენი რჩევა მომცა, მეგონა მეზობელს მეზობლის მემკვიდრედ დაადგენდა“ (თირმიზი, ბირ 28)

შუამავალი ასევე ბრძანებს: „ვისაც სწამს ღმერთის და განკითხვის დღისა, მეზობლები არ შეაწუხოს“. (ბუჰარი, რიქაქ 23)

მეზობლების მიმართ კეთილგანწყობის აუცილებლობაზე საუბარია აგრეთვე ყურანშიც (იხ. ნისა 4/36). მეზობლობლურ ურთიერთობებში კი ძირითადი საზომი ადამიანობა და ურთიერთპატიისცემა უნდა იყოს. მეზობლებს შორის რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილება ურთიერთობის ხარისხზე უარყოფითად არ უნდა აისახოს. შუამავალი არამუსლიმ მეზობლებთან ურთიერთობას განსაკუთრებული სიფაქიზით ეკი-

თანამედროვე ადამიანს განსაკუთრებით სჭირდება ისლამის მიერ დადგენილი სამართლიანობის პრინციპი, რათა დედამიწაზე ბედნიერებისა და სტაბილურობის გარემო შექმნას.

დებოდა, რაც გასათვალისწინებელი მაგალითია.

ისლამის მიხედვით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლებთან ურთიერთობას. ოჯახი, „რომელიც საზოგადოების მთავარი ერთეულია მშობლების ირგვლივ ფორმირდება. როდესაც მშობლები მოხუცდებიან და მოვლა დაჭირდებათ, მემკვიდრეებმა ეს საპატიო მოვალეობა არა ტვირთად, არამედ წყალობად უნდა მიიჩნიონ და მშობლებს სათანადო ყურადღება მიაქციონ. ყურანში ნაბრძანებია:

„და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა მისი და კეთილად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე მიაღწევს სიბერემდე, არ უთხრა: „უჰ!“ და არ გაუწყრე მათ და ლამაზი სიტყვა უთხარი!

და ისინი მფარველობის ქვეშ აიყვანე ლმობიერებითა და თავმდაბლობით და თქვი: ღმერთო ჩემო! პატარაობისას როგორც გამზარდეს, ისე შეიწყალე ესენი!“ (ისრა 23-24)

ისლამის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ზნეობრივი რეგულაცია ნათესავებს შორის უფლება-მოვალეობებია. ნათესავებს შორის ურთიერთობა, ამ კავშირებზე გაფრთხილება და მათი შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია. ჰადისის მიხედვით შუამავალი ამბობს: ვისაც სურს ჰქონდეს უხვი სარჩო და აღსასრული დაუგვიანდეს, ნატესავებთან ურთიერთობა შეინარჩუნოს“. (ბუჰარი, ედებ 12)

ჭირსა და ლხინში ერთად დგომა, თანადგომა, მონახულება და ურთიერთპატივისცემა ნათესავების მოვალეობაა.

ადამიანთა უფლებების დაცვა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი თუ საამისოდ ხელსაყრელი გარემოა შექმნილი. ადამიანური ცხოვრებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე ზრუნვა კი ყველას ვალია. ამგვარი გარემოს შექმნის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მმართველი გუნდისა და რიგითი ადამიანების ურთიერთობის სწორი

რეგულირება. სწორად რეგულირების შემთხვევაში საზოგადოებაში სიმშვიდე და კეთილდღეობა დაისადგურებს.

შუამავალი ბრძანებს: „ყველაზე დიდი ჯიჰადი უსამართლო მმართველის წინაშე სიმართლის თქმაა“. (იბნ მაჯე, ფითენ 20)

შუამავალი მორწმუნეებს მოუწოდებდა, რომ ნამაზისა და მარხვის მსგავსი ღვთისმსახურების შესრულების მიუხედავად ადამიანი ცოდვილია თუ ის სხვათა უფლებებს არღვევს. ასეთი ადამიანები ყოველი დარღვეული უფლებისათვის საიქიოში განიკითხებიან და თავიანთი გაკეთებული მადლიდან ჩაგრულებზე გაცემა მოუწევთ, ან მათ ცოდვას იტვირთავენ, რაც საბოლოო ჯამში ცოდვილებად აქცევთ და სასჯელად ჯოჯოხეთი ერგებათ. (იხ. მუსლიმ, ბირ 59). სხვათა უფლებების დარღვევის შემთხვევაში შეცდომის გააზრება და პატიების თხოვნა მნიშვნელოვანი მომენტია, რაც ჩვენს სარწმუნოებაში ჩადენილი ცოდვისგან თავის დაღწევის და საიქიო სასჯელის არიდების ერთ-ერთი გზაა. „ვინც ძმეს უსამართლოდ მოექცევა პატიბეა სთხოვოს“- ბრძანებს შუამავალი. (ბუჰარი, რიქაქ 48). ისლამი სამართ-



სამართლიანობა
დედამიწაზე
ღვთიური სასწორია.
სამართლიანობის
პირობებში ადამიანები
ყველაზე მოკლე და
იოლი გზით ჰპოვებენ
სამართალს.

ლიანობის დამკვიდრებისათვის საჭირო გარემოს შექმნის პროცესში მხოლოდ ადამიანის ფაქტორს არ გულისხმობს. ის ადამიანებს ავალდებულებას არამხოლოდ ადამიანებისადმი სამართლიანად მოქცევას, არამედ ყველა და ყველაფრის მიმართ. ადამიანი უნდა გაუფრთხილდეს სხვა ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს, გარემოს, ჰაერს, წყალს და ასე შემდეგ.

რა არის სამართლიანობა?

სამართლიანობის მნიშვნელობა სიმართლისგან მოდის. როგორც იურიდიული ტერმინი კი ეს არის ადამიანის უფლებების შესაბამისი განხორციელება. გარდა ამისა სამართლიანობა მოიცავს ფართო მნიშვნელობის საზოგადოებრივ მდგომარეობას, სადაც ადამიანები კარგად და დაცულად გრძნობენ თავს. ადამიანებს შორის ურთიერთპატივისცემა, სიყვარული და სიმშვიდეა დასადგურებული. სამართლიან გარემოში უფროსებს პატივს სცემენ, უმცროსებს სიყვარულით ეპყრობიან და ა.შ.

სინამდვილეში სამართლიანობა ისეთი საკითხია,რომლის შესახებაც მთელი ისტორიის მანძილზე მუდმი-

ვი კამათი და განხილვა მიმდინარეობს.

მიიჩნევა, რომ ადამიანის უფლების დაცვა და ზოგადად სამართლიანობის უზრუნველყოფა, ზოგადად, მთავრობისა და სასამართლოს პრეროგატივაა. სამართლიანობის ხსენებისას მაშინვე მმართველი ორგანოები და სასამართლო გვახსენდება, არადა სამართლინობას აქვს უფრო ფართო განზომილება, რომელშიც ინდივიდების კერძო ურთიერთბებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ.

„უეჭველად, ალლაჰი ბრძანებს სამართლიანობას, სიკეთის კეთებას და ნათესავებზე დახმარებას. და კრძალავს სიძვას, გასაკიცხ ქმედებებს და უსამართლობას. იგი შეგაგონებთ თქვენ, ეგების გულისხმაჰყოთ!“ (ნაჰლ 16/90)

ისლამის მიხედვით სახელმწიფო მმართველობის სფეროში ძირითად შეხედულებას „სამართლიანი ან მჩაგვრელი მმართველის“ არსებობის პრინციპი წარმოადგენს. მათ შორის სამართლიანი მმართველები შექებულნი არიან და მათ ორივე ქვეყნად ჯილდო ელოდებათ, ხოლო უსამართლონი განკიცხულნი არიან და ორივე ქვეყნად სასჯელს იმსა-

სამართლიანობის ხსენებისას, უპირველეს ყოვლისა, მმართველი ორგანოები გვახსენდება, თუმცა სამართლიანობა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ინდივიდუალურ რთიერთობაში ძალიან ხელშესახები და მნიშვნელოვანია.

ხურებენ. როგორც შუამავალი ბრძანებდა, თუ სახელმწიფოს მმართველი ღვთის წინაშე პასუხიმგებლობას გრძნობს და სამართლიანად მმართველობს, თავისი ნამოქმედარით მადლს მოიგებს, მაგრამ თუ ის უსამართლო და მჩაგვრელია, მისი ცოდვა და სასჯელი დღითიდღე მოიმატებს. (იხ. ბუჰარი, ჯიჰად 110)

მჩაგვრელობა უსამართლობის პირდაპირი გამოვლინებაა. ნებისმიერ ადგილას გამოვლენილი ერთი უსამართლობა, ყველა სხვა ადგილას არსებული სამართლიანობისთვის საფრთხეს წარმოადგენს. შესაბამისად უსამართლობის ერთი შემთხვევის მიმართაც მიმღებლობა დაუშვებელია. ისლამი სამართლიანობისკენ მოგვიწოდებს და იმავდროულად გვაფრთხილებს მოვერი-

დოთ უსამართლობას. როდესაც შუ-
ამავალმა მუაზ ბინ ჯებელი იემენ-
ში მმართველად მიავლინა შემდეგი
სიტყვებით დამოძღვრა: „ერიდე ჩაგ-
რულის წყევლას, რადგან მასსა და
ღმერთს შორის ფარდა არ არის“.
(ბუჰარი, ზექათ 62)

აბსოლუტური სამართლიანობა
მხოლოდ ღვთიური სამართლიანო-
ბაა. ვერცერთი მჩაგვრელი ვერ და-
აღწევს თავს ღვთიურ სამართალს.
ყველას თავისი ნამოქმედარის მი-
ხედვით მოეკითხება. ღმერთი ადა-
მიანებს შეცდომის გამოსწორების
დროს აძლევს, მაგრამ უსამართლო-
ბის მიმართ უგულისყურო არ იქნე-
ბა.

ამასთანავე, ყოველი სამართლია-
ნი ადამიანი, თავისი სამართლიანი
ქმედებების წყალობით, საიქიოში
შესაბამის ჯილდოს აუცილებლად
მიიღებს. ღმერთს ეს პირდაპირ აქვს
გაცხადებული:

„და ჩვენ განვაწესებთ სამართ-
ლის სასწორებს აღდგომის დღეს,
მაშინ არავინ არ დაიჩაგრება. და
მდოგვის მარცვლის ოდენაც რომ
იყოს, მას მოვიტანთ. და საკმარისი
ვართ ჩვენ ანგარიშმსწორებლებად
!“ (ენბია 21/47)

სამართლიანობა ღმერთის სასწორია დედამიწაზე. სუსტები სწორედ სამართლიანობის წყალობით იცავენ თავიანთ უფლებებს. მჩაგვრელი უნდა შეჩერდეს და ჩაგრულს თავისი უფლებები უნდა აღუდგეს. სამართლიანობა ის ღირებულებაა, რომელიც ისლამის რწმენის საზოგადოებაში დამკვიდრებამ წარმოქმნა. ისლამურ საზოგადოებაში მცხოვრები ყველა ადამიანის უფლებაა ამ სამართლიანობით ისარგებლოს.

სამართლიანობის პრინციპის განხორციელების პროცესში ამომავალ წერტილს ინდივიდი წარმოადგენს. პიროვნება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის წინაშე უნდა იყოს სამართლიანი. თუ ადამიანი საკუთარი თავის მიმართ სამართლიანი არ არის, ის სხვათა მიმართ სამართლიანი ვერ იქნება. აბდულლაჰ ბინ ამრ ბინ ასი დღისით სისტემატიურად მარხულობდა, ხოლო ღამეს ლოცვაში ატარებდა. ამის გამო შუამავალმა ის გააფრთხილა, რომ საკუთარი სხეულისა და ოჯახის წინაშე ვალ-

დებულებებები გააჩნდა. (იხ. ბუჰარი, საავმ, 57)

ისლამის მიხედვით სამართლიანობის საფუძველს ადამიანი და მისი ფასი განსაზღვრავს. ადამიანის პირად ცხოვრებას, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოს, სწორედაც სამართლიანობის მოთხოვნილება არეგულირებს. ყურანის მიხედვით ყველა ზეციური სარწმუნოების მიზანი ადამიანთა შორის სამართლიანობის დამკვიდრებაა, ამიტომ ზომიერება და თანასწორობის პრინციპი ადამიანებს შორის ურთიერთობის ამომავალ წერტილადაა მიჩნეული.

„ვფიცავ, წარმოვგზავნეთ ჩვენი შუამავალნი ცხადი მტკიცებებით და ზემოვავლინეთ მათთან ერთად წიგნი და სასწორი , რათა განსაჯოს ხალხმა სამართლით. ასევე ზეგარდმოვავლინეთ რკინა, რომელშიც მყარი სიძლიერე და სარგებელია ხალხისთვის. და რომ გამოსცადოს ალლაჰმა, ვინ ემსახურება მის სარწმუნოებას, მის შუამავალთ და ვინ ირწმუნა უხილავის. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა, ძლევამოსილია!“ (ჰადიდ 57/25)

„და ამგვარად დაგადგინეთ თქვენ შუა (სამაგალითო) თემად, რათა

მოწმენი იყოთ ადამიანთა მიმართ და შუამავალი მოწმე იყოს თქვენს მიმართ. და დავადგინეთ ყიბლე,რომ-ლისკენაც იდექი მხოლოდ იმიტომ, რომ გამოგვეცნო (გამოგვემჟღავნე-ბინა) ვინ მიჰყვება შუამავალს და ვინ გაბრუნდებოდა უკან ქუსლებზე შემდგარი. სწორედაც მძიმე იყო ეს,მაგრამ არა იმათთვის,რომელნიც სწორ გზას დააყენა ალლაჰმა. ალ-ლაჰი არ დაგიკარგავთ თქვენსავე რწმენას. უეჭველად, ალლაჰი ლმო-ბიერი და მწყალობელია ხალხის მიმართ“. (ბაყარა 2/143)

სამყაროს უზადო წონასწორობა და ჰარმონია გააჩნია. თუ ადამია-ნი სამართლიანი იქნება,ეს ნიშნავს, რომ ის სამყაროს ამ სწორუპოვარ წონასწორობას მისდევს და იცავს. საზოგადოების ყველა ფენაში გავრ-ცელებული სამართლიანობა სა-ზოგადოების სულს ამშვიდებს და ინდივიდების ქცევებში დადებითად აისახება. საბოლოო ჯამში სამართ-ლიანობა საზოგადოებრივ წესრიგსა და კეთილდღეობაზე ყოველმხრივ დადებითად აისახება.

თანამედროვე ადამიანი განსა-კუთრებით საჭიროებს სამართლია-ნობას,რათა დედამიწაზე სიმშვიდემ და ბედნიერებამ დაისადგუროს. სა-

ზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სამართლიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, პირადი ურთიერთობებით დაწყებული საერთაშორისო ურთიერთობებით დამთავრებული. სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს.

ყოველდღიურ ცხოვრებაში სამართლიანობას თანასწორობის კონტექსტში მოიხსენიებენ, მაგრამ სამართლიანობა გაცილებით დიდი არეალის მქონე მოვლენაა, რომელიც თავისთავში თანასწორობასაც მოიცავს. სამართლიანობა არა თანასწორობას, არამედ უზენაეს სამართალს უნდა ეყრდნობოდეს. სამართლიანობის პირობებში ყველას თავისი უნდა მიეზღოს. კარგს ვინც იმსახურებს შესაბამისად უნდა მიიღოს, ხოლო ცუდის ღირსი ვინცაა ცუდს უნდა დასჯერდეს. თანასწორობა სამართლიანობის შემადგენელია, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ნებისმიერი, დადებითი ან უარყოფითი სიტუაცია ყველასათვის თანაბრად შემხებლობაში მოვიდეს.

პოლიტიკური ორიენტაცია და სამართლიანობა

„ვფიცავ, წარმოვგზავნეთ ჩვენი შუამავალნი ცხადი მტკიცებებით და ზემოვავლინეთ მათთან ერთად წიგნი და სასწორი , რათა განსაჯოს ხალხმა სამართლით. ასევე ზეგარდმოვავლინეთ რკინა, რომელშიც მყარი სიძლიერე და სარგებელია ხალხისთვის. და რომ გამოსცადოს ალლაჰმა, ვინ ემსახურება მის სარწმუნოებას, მის შუამავალთ და ვინ ირწმუნა უხილავის. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა, ძლევამოსილია!“ (ჰადიდ 57/25)

მოცემულ აიათში ღმერთი სამი რამეს ახსენებს, ესენია: წიგნი, სასწორი და რკინა. ამათგან წიგნი ღვთის სიტყვაა, ხოლო სასწორი ღვთიური სამართლინობა. საზოგადოებრივი სიმშვიდისა და ბედნიერებისათვის ეს ორი ფუნდამენტური პრინციპი აუცილებელია; ღვთის სიტყვა და სამართლიანობა. მათი უზრუნველყოფისათვის კი საჭიროა დამატებითი საშუალება, რომელიც სიმბოლურად რკინის სახელწოდებითაა მოხსენიებული. ეს არის მმართველობა, ავტორიტეტი, ძალა. თუ ეს ყველაფერი ღვთის სიტყვისა

და სამართლიანობის მიხედვით მუშაობს, მაშინ შედეგი სახარბიელო იქნება.

ჰადისის მიხედვით შუამავალი შვიდი კატეგორიის ადამიანს წარმოგვიდგენს, რომლებიც განკითხვის დღეს ღმერთის მფარველობით ისარგებლებენ და ამ სიის თავში სამართლიანი მმართველები არიან. (იხ. ბუჰარი, ეზან 36)

შუამავალი ამბობდა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ხელქვეითებს, ოჯახის წევრებსა და სხვებს, ვისზეც პასუხისმგებლობა აკისრია, სამართლიანად მოექცევა, ღვთის წინაშე მრავალი წყალობის ღირსი გახდება. (იხ. ნესაი ადაბულ ქუდათ 1)

ადამიანის უფლებების დაცვა და უსამართლობის აღმოფხვრა მაშინაა შესაძლებელი, როდესაც საზოგადოება სწორი ფორმით იმართება. ამ პროცესში წარმატებისათვის მმართველი და მართული მხარეები სრულ სამართლიან გარემოში უნდა იმყოფებოდნენ. აუცილებლად დაცული უნდა იყოს ორივე მხარის ფუნდამენტური უფლებები. მმართველობის გამჭვირვალობა და მართული მხარის მიერ კანონის პატივისცემა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ხალიფა აბუ ბაქარი ხალიფად არ-ჩევის პირველივე დღეს ხალხს შემ-დეგნაირად მიმართავს:

„ხალხო, მიუხედავად იმისა, რომ თვენს შორის საუკეთესო არ ვარ, თვენს მმართველად შევიქმენი. თუ ჩემს მოვალეობას სწორად აღვას-რულებ, თქვენც დამეხმარეთ, ხოლო თუ ცუდად წარვმართე სწორი გზის-კენ მომიწოდეთ. სიმართლე ნდობის წყაროა, ტყუილი კი- ღალატი. თვენს შორის სუსტები ვინც არიან, სანამ თავიანთ უფლებებს არ აღიდგენენ, ღვთის ნებით, ჩემს წინაშე ძლიერები იქნებიან. თქვენს შორის ძლიერები, ღვთის ნებით, ჩემს წინაშე სუსტები იქნებიან, სანამ სუსტებს თავიანთ უფლებებს არ დაუბრუნებენ. თუ სა-ზოგადოებაში უზნეობა გავრცელ-და, ღმერთი ასეთ ხალხს სასჯელს მოუვლენს. სანამ ღვთისა და შუა-მავლის მორჩილი ვიქნები თქვენც მე დამემორჩილეთ. როგორც კი ღვთისა და შუამავლის წინააღმდეგ წავალ, თქვენ ვალდებულნი აღარ ხართ დამემორჩილოთ“. იხ. (სუიუთი, თა-რიჰულ ჰულეფა, გვ. 153)

ამრიგად, მმართველის მიერ სა-მართლიანობის აღსრულების სურ-ვილით სამართლებრივი და ეკონო-მიკური სამართლიანობის უზრუნ-

ველყოფა შესაძლებელია. როდესაც ადამიანები იგრძნობენ, რომ ქვეყნის მმართველობა სამართლიანია, ეს დადებითად აისახება როგორც სამართლებრივ, ისე ეკონომიკურ სფეროებზე.

ა. სამართლიანობა სამართლში

სამართლიანობა, როგორც მოვლენა, ყველაზე ხშირად ხორციელდება ისეთი ინსტიტუტებისა და თანმხლები ელემენტების თანხლებით,როგორიცაა სასამართლო, მოსამართლე, ადვოკატი, მოწმე და ა.შ. ყურანში სამართლიანობის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით ყველა ამ ელემენტის შესახებ რეგულაციები ნათლადაა გაწერილი. უპირველეს ყოვლისა, ამ პროცესში ძირითადი მამოტივირებელი მიზანი, ღვთის გულისათვის, სიმართლის ზეობა უნდა იყოს. თითოეული მონაწილის გზამკვლევი კი ღვთისმოსავობის ხარისხია. სამართლიანობის აღსრულებისას პირადი დამოკიდებულება, რომელიმე მხარის მიმართ სიმპათია ან ანტიპათია, მტრობა, გვარიშვილობა, სიმდიდრე, სიღარიბე, გავლენიაობა, მორწმუნოება, ურწმუნოება და სხვა მსგავსი ფაქტორები ტენდენციური მიდგომის საფუძველი არ უნდა გახდეს. მიუხედავად ასე-

თი გარე ფაქტორებისა დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი უფლებამოსილია სამართლიანობით ისარგებლოს.

ყურანში ნაბრძანებია:

„უეჭველად, ალლაჰი გიბრძანებთ, რომ ანაბარი უკან დაუბრუნოთ თავის პატრონებს და როცა განსჯით ადამიანთა შორის, სამართლიანად განსაჯოთ. უეჭველად, რა მშვენიერია ალლაჰის შეგონება! უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმხედველია!“ (ნისა 4/58)

სასამართლოში მხარეები თანაბარ პოზიციაში უნდა იყვნენ. ამასთანავე მოსამართლის გადაწყვეტილებაზე არ უნდა მოქმედებდეს არანაირი პირადი პრობლემები, თუნდაც შიმშილი, გაბრაზება, უძილობა და სხვა მსგავსი ფაქტორები, რომლებიც სასამართლოს ობიექტურობას და ავტორიტეტს დააზიანებს. გარდა ამისა,აუცილებელია ორივე მხარეზე მოსმენა და საქმის საფუძვლიანად გამოძიება. არსებობს ასეთი რჩევა: „თუ შენთან თვალამოთხრილი ადამიანი მოვა და საჩივარს შემოიტანს, გადაწყვეტილებას მაშინვე ნუ მიიღებ და მეორე მხარეს სასჯელს ნუ დააკისრებ, დაელოდე, იქნებ მის

მოწინააღმდეგეს ორივე თვალი ამოთხრილი აქვს“. ეს არის მაგალითი იმისათვის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ორივე მხარეზე მოსმენა. ეს არამარტო მოსამართლის შემთხვევაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში დასანერგი რჩევაა.

სამართლიანობის აღსრულებისა და სამართლიანი განჩინებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოწმის პატიოსნება და მიუკერძოებლობა. მოწმეობა, გარდა მოქალაქეობრივისა, რელიგიური ვალდებულებაცაა. ისეთი ინფორმაციის დამალვა, რომელიც საქმეზე ჭეშმარიტებას დაადგენს, ცოდვაა. გულწრფელი მოწმეობა სიმართლის დადგენას უზრუნველყოფს და შესაბამისად უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული გააზრებულ ქმედებას წარმოადგენს. საზოგადოებრივი გულგრილობა და თავის არიდება



სამართლიანობის აღსრულებას არ-
თულებს.

მორწმუნე ადამიანი მხოლოდ სი-
მართლეს იტყვის და სასამართლო-
შიც მხოლოდ სიმართლეს დაადას-
ტურებს. დაუშვებელია ცილისწამება
და ცრუმოწმეობა. სამართლიანობის
აღდგენის პროცესში ასევე მიუღე-
ბელია ისეთი ფაქტორების გათვა-
ლისწინება, როგორიცაა ნათესავო-
ბა, მეგობრობა, ფული, გავლენა და
სხვა. მოწმემ აუცილებლად სიმართ-
ლე უნდა ილაპარაკოს. წინააღმდეგ
შემთხვევაში მოწმეს ღვთიური სას-
ჯელი ელოდება და ამქვეყნად დაშ-
ვებული შეცდომის გამო დააზიანებს
როგორც უდანაშაულო ადამიანებს,
ისე საკუთარი თავის წინაშეც დიდ
უსამართლობას ჩაიდენს.

ყურანში ნაბრძანებია: „ჰეი თქვენ,
რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალ-
ლაჰის წინაშე მოწმენი, სამართლის
აღმდგენი. და ეს რომც იყოს თქვენს
წინააღმდეგ , ან თქვენი მშობლები-
სა და ნათესავების, მდიდარი იქნება
ის თუ ღარიბი, რადგანაც ალლაჰი
უფრო ახლოსაა ორივესთან , მაშ,
ნუ გაყვებით გულისნადებს ,რომ არ
გადაუქციოთ ჭეშმარიტებას, და თუ
გაამრუდებთ ან გაექცევით , უეჭ-

ველად, ალლაჰი უწყის, რასაც აკეთებთ!“ (ნისა 4/135)

მოწმეობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ დავებს, როცა საკითხი ადამიანების ნამუსსა და ღირსებას ეხება. ჩვენს სარწმუნოებაში მრუშობის დასამტკიცებლად ოთხი მოწმის არსებობაა მიღებული. ეს არის საზოგადოებრივი წესრიგისა და პიროვნების უფლებების დაცვისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი. ასეთ შემთხვევაში უკიდურესად რთულდება ცილისწამება ისეთ მძიმე დანაძაულზე, როგორიც მრუშობაა და შესაბამისად უსამართლო სასჯელის ალბათობაც მინიმუმამდეა დაყვანილი. (იხ. ნისა 4/15 და ნურ 24/4)

ერის ჩამოშლისა და განადგურების ერთ-ერთი მიზეზი შერჩევითი სამართალია. როდესაც ქვეყანაში გვარიშვილობის, თანამდებობის, სიმდიდრისა და სხვა მსგავსი პრივილეგიების გამო ჩადენილი დანაშაულის პატიება ხდება და იმავე ტიპის დანაშაულზე რიგით ადამიანებს სჯიან,ეს მასობრივი უსამართლობაა და საზოგადოებრივ წესრიგს არღვევს. ასეთ დროს საზოგადოებრივ ფენებს შორის შური და სიძულვი-

ლი იკიდებს ფეხს, რაც არეულობა-ში გადაიზრდება. შუამავალი ბრძანებს: „თქვენზე ადრინდელი ერების განადგურების მიზეზი შემდეგია: როდესაც მათ შორის ვინმე წარჩინებული ქურდობას ცაიდენდა ხელშეუხებელი იყო, მაგრამ სუსტი ვინმე თუ ჩაიდენდა იგივეს, მას აუცილებლად დასჯიდნენ. ვფიცავ ალლაჰს, რომ მუჰამმედის ქალიშვილმა ფატმამაც რომ ქურდობა ჩაიდინოს, მე მას დავსჯი“ (ბუჰარი, ენბია 52)

ისლამი არამუსლიმ მოქალაქეებს სრულ უფლებას აძლევს საკუთარი აღმსარებლობის მიხედვით იცხოვრონ. სხვადასხვა მრევლს შორის არსებულ დავებს კი საერთაშორისო სამართალი არეგულირებს. ისლამი იცავს სახელმწიფოში მცხოვრები ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების მრავალფეროვნებასა და კულტურას.

ბ. ეკონომიკური სამართლიანობა

ეკონომიკური სამართლიანობა შემოსავლების თანასწორად და დამსახურებიბს მიხედვით გადანაწილებას გულისხმობს. ამ გზით საზოგადოების განსხვავებულ ფენებში ეკონომიური მდგომარეობით წარმოქმნილი უფსკრულები იკლებს

და შემოსავლების წონასწორობაშ მოყვანა ხერხდება. ისლამი კრძალავს ისეთ უკანონო შემოსავლებს, როგორიცაა პროცენტი და ამ გზით მდიდრებსა და ღარიბებს შორის უსამართლო და სახიფათო განსხვავებულობას არეგულირებს. მიზანიც ეს არის; მდიდრებსა და ღარიბებს შორის შემოსავლების მხრივ უფსკრულების ამოვსება. ამ პროცესში გასათვალისწინებელია წარმოების, სამუშაო ძალისა და გადასახადების სწორად მართვა. შუამავალმა აბდულლაჰ ბინ რევაჰა ებრაელებით დასახლებულ ტერიტორიაზე გადასახადების ამკრეფად მიავლინა. ებრაელებს შეეშინდათ, რომ აბდულლაჰი მათ უსამართლოდ მოექცეოდა, მაგრამ აბდულლაჰმა მათ უთხრა: „ვფიცავ ღმერთს, რომ მის მიერ გაჩენილთა შორის ყველაზე მეტად თქვენზე ვარ გაბრაზებული, მაგრამ ეს მდგომარეობა არ წამაქეზებს საიმისოდ, რომ უსამართლოდ მოგექცეთ“. (ებუ დავუდ, მუსაქათ 35)

როდესაც ეკონომიკური აქტივები ერთეულების ხელში აკუმულირდება და სამუშაო ძალის ექსპლოატაცია ხდება, ეს მდგომარეობა მასიური ჩაგვრის საშუალებებს წარმოშობს და საზოგადოებაში უსამართლობის განცდა ჩნდება. პრივილეგირებული

ფენა ზედმეტ ფუფუნებისკენ დაიწყებს ლტოლვას და იწყება საზოგადოებრივი გახრწნილობა. საბოლოო ჯამში კი ეს უთანასწორობა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და მასობრივ არეულობას გამოიწვევს. (იხ. ისრა 17/16)

პოლიტიკური ლიდერებისგან მოსალოდნელი სამართლიანობა საზოგადოებრივი დამოკიდებულების ანარეკლია. ქვეყნის მმართველები საზოგადოებრივ აზრს ითვალისწინებენ და სამართლიანობის შესაბამისი სტანდარტის შეთავაზებას ცდილობენ. რაც შეეხება ადამიანური და ზნეობრივი ფაქტორების გავლენით მოსალოდნელ სამართლიანობას, აქ ინდივიდუალური დამოკიდებულება ჭარბობს. ეს არის ყოველი ადამიანის ოჯახური ურთიერთობები, მეგობრობა, მეზობლობა, ვაჭრობა, მომსახურების სფერო და სხვა. საბოლოო ჯამში სამართლიანობის მიღწევისთვის როგორც მმართველი ისე მართული ფენა თავის გასაკეთებელს აკეთებს და თავისი წვლილი შეაქვს.

თუ საკუთარი ან ჩაბოიშალი, სამართლიანობაც ან ჩაბოიშლება

სამართლიანობის ამგვარი კლასიფიკაცია მის თეორიულ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელიც საკითხის იოლად ახსნის მცდელობის შედეგად მივიღეთ. თუ საზოგადოების თითოეული წევრი სამართლიანი არ არის და ეს განცდა არ ამოძრავებს, საზოგადოება სამართლიანი ვერ იქნება. თუ ქვეყანაში არ არის სმართალი, სამართლიანი სასამართლო, ეკონომიკის სფეროშიც უსამართლობა დაისადგურებს. იგივე ეხება პოლიტიკასაც. საზოგადოების თითოეული ნაწილი ერთი მთლიანობაა და ამ ნაწილებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. ერთ რომელიმე ნაწილში არსებული უსამართლობა მხოლოდ იმ კონკრეტული სფეროს საზღვრებში არ დარჩება და დანარჩენ ნაწილებზეც გავრცელდება.

ღირებულებები მაშინაა ეფექტური, როცა მთლიანობაში ეფექტურია. სამართლიანობაც ასეა. ამ სფეროში სამართლიანობა გვაქვს, მაგრამ იმ სფეროში არაო, უსაფუძვლო ნათქვამია. ადამიანი ყველა მიმართულე-

სამართლიანობაზე სიყვარულმა ან მტრობამ გავლენა არ უნდა იქონიოს. გვარიშვილობა, სიმდიდრე, სიღარიბე, ძლიერება, სისუსტე, მორწმუნეობა, ურწმუნოება და მსგავსი ფაქტორები ტენდენციურობის საფუძველი არ უნდა გახდეს. მიუხედავად დამოკიდებულებისა ყველა ადამიანი თანასწორია და სამართლიანობით სარგებლობის უფლება ყველას გააჩნია.

ბით სამართლიანობას ითხოვს და ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. შესაბამისად სამართლიანობის ყველა სფეროში არსებობა აუცილებელია.